# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველდღიური გამოცემა კვირა-დღეების შემდეგაც.— კვირა, 21 მაისი 1900 წ. № 1130

**გაზეთი ღირს:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.— დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію „Цновисъ-Пурцели“—„Моамбе“.**

**ტელეფონი № 372.**



# სახალხო სეირნობა
## საქველმოქმედო ბაზრითურთ

«ქართველთა შორის, წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების» სასარგებლოდ დანიშნულია 28 და 29 მაისს მუშტაიდის ბაღში. შემოწირულებათა წარმოგზავნა ამ ბაზრისათვის შეიძლებაკნ. ოლგა თადეოზის ასულს ჭავჭავაძესთან, ნიკოლოოზის ქუჩა, № 21.

(ნ. 0—42)

ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობა ამით აცხადებს

## სამს პრემიას—150 მ., 100 მ., 75 მ.,

დასაჯილდოვებლად ქართული ორიგინალური დრამატიული ნაწარმოებისა. პრემიის პირობებია შემდეგი:

1) საპრემიოთ წარმოდგენილი პიესა უნდა იყოს ორიგინალური, სცენაზე დაუდგმელი, დაუბეჭდავი და შეიცავდეს არა-ნაკლებ 4 მოქმედებისა.

**შ ე ნ ი შ ვ ნ ა: პრემია შეიძლება მიეცეს სამ მოქმედებიან პიესასაც მისი განსაკუთრებით სალიტერატურო და სასცენო ღირსებისა გამო.**

2) დრამატ. საზოგ. გამგეობის სახელზე უნდა გამოიგზავნოს პიესა რაიმე დევიზის წარწერით და დახურულ, კონვერტი, რომელშიც აღინიშნება ავტორის ვინაობა და ადრესი. კონვერტი გაიხსნება მხოლოდ მაშინ, როცა პიესა ცნობილ იქნება ჯილდოს ღირსად.

3) ვადა პიესის გამოგზავნისა დანიშნულია არა უგვიანეს პირველი სექტემბრის, 1900 წ.

4) პრემია მიეცემა მთლად ერთიანად ან და მხოლოდ ერთი ნაწილი.

5) «საზოგადოების» გამგეობას აქვს უპირატესი უფლება,—დაჯილდოვებული პიესა დადგას თავის თეატრში ორი წლის განმავლობაში დღიდან პრემიის მიცემისა; ავტორს არა აქვს უფლება პირველ წარმოდგენამდე სხვას ვისმეს მისცეს წარმოდგენის უფლება, ხოლო ტფილისში პირველ ორ წელიწადს პაესას ვერავინ ვერ წარმოადგენს გამგეობის ნება-დაურთველად.

6) დაჯილდოვებულ პიესის ავტორს ჰონორარად მიეცემა თითო დადგმაზე მთელი შემოსავლის 5 პროცენტი.

**შ ე ნ ი შ ვ ნ ა: სამ-მოქმედებიან პიესის ავტორს მიეცემა შემოსავლის 3 პროცენტი.**

7) შედეგი პიესების კონკურსისა გამოცხადდება გაზეთებში.

ნ. (10—7)

## პარიზის გამოფენაზე
## წამსვლელთა საყურადღებოდ

**პარიზში ნაცხოვრები და ფრანგული ენის მცოდნე ქართველი** პკისრულობს გაჰყვეს პარიზის მსოფლიო გამოფენის ნახვის მსურველს და სათანადო დახმარება გაუწიოს გამოფენისა და თვით ქალაქის ღირსშესანიშნავ დაწესებულებათა დათვალიერების საქმეში. იგივე პკისრულობს იქითობას ან აქეთობას დაათვალიერებინოს ევროპის სატახტო ქალაქები.—**ადრესისა** და სასყიდელის შესახებ პირობათა შეტყობა შეიძლება **„მოამბე“-„ცნობის ფურცლის“ რედაქციაში.**

(რ 0—15)


### მთავრობის განკარგულებანი

სტავროპოლის გიმნაზიის მასწავლებელს ნადვორ. სოვეტნიკს ჭეიშვილს ებოძა კოლეჟსკი სოვეტნიკობა.

ბაქოს გიმნაზიის მასწავლებელს კოლეჟ. ასესორს ჯინორიძეს ებოძა ნადვორ. სოვეტნიკობა.

ეისკის საქალაქო სასწავლებლის მასწავლებელს კოლეჟ. ასესორს ცისკარიშვილს ებოძა ნადვორ. სოვეტნიკობა.

ტფილისის მე-2 საქალაქო სასწავლებლის მასწავლებელს ტიტულ. სოვეტნიკს მამალაძეს, ბატალ-აშაშინის სასწავლებლის მასწავლებელს ტიტ. სოვ. ნაცვლიშვილს, განჯის სასწავლებლის მასწავლებელს ტიტ. სოვ. ხარაძეს, ხონის პირველ დაწყებით სასწავლებლის ზედამხედველს ტიტ. სოვ. გოგუას, ახალ-სენაკის სასწავლებლის მასავლებელს ტიტ. სოვ. ენუქიძეს და ალექსან დროვის—ადამიას ებოძათ კოლეჟ. ასესორობა.

ახალციხის საქალაქო სასწავლებლის მასწავლებელს კოლეჟ. სეკრეტარს ბურჭულაძეს, ნოვობაიაზეტისას—კოლ. სეკრ. გომელაურს, მანგლისის—კოლეჟ. სეკრეტ. ხუციშვილს და ხონისას—კოლეჟ. სეკრ. ნუცუბიძეს ებოძათ ტიტულ. სოვეტნიკობა.

სიღნაღის საქალაქო სასწავლებლის მასწავლებელს გუბ. სეკრეტარს მირიანაშვილს და ართვინის სასწავლებლის მასწავლებელს გუბ. სეკრეტარს როსტევანიშვილს ებოძათ კოლეჟ. სეკრეტრობა.

ქუთაისის სასტატო სემინარიის მასწავლდბელს ტაბუკაშვილს, ქართ. შორის წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების ვლადიკავკავის ქართულ სკოლის მასწავლებელს ბოცვაძეს, კონდაურის სოფლის სასწავლებლის მასწავლებელს გაჩეჩილაძეს, ტფილისის საქალაქო პირველ-დაწყებით სკოლის გამგეს პაპიტაშვილს, საგარეჯოს სასწავლებლის მასწავლებელს გაბელაშვილს, ხულის სასწავლებლის მგელაძეს და სურების—ჯაში ებოძათ კოლეჟ. რეგისტრატორობა.

დამტკიცებულ არიან: კოლეჟ. ასესორად—განჯის გიმნაზიის მასწავლებელი აბულაძე; კოლეჟ. სეკრეტრებად—ქუთაისის საქალაქო პირველდაწყებით სასწავლებლის მასწავლებელი ხმალაძე და ქუთაისის გიმნაზიის კლასსების დამრიგებელთა თანაშემწე წერეთელი; კოლეჟ. რეგისტრატორებად—ტფილისის ქალაქის პირველ დაწყებითი სკოლის მასწავლებელი ხრამელაშვილი და თელავის—ვაჩნაძე.

## ახალი ამბავი

✦ მისმა უდიდებულესობამ სპარსეთის შაჰმა უწყალობა ტფილისში ჯილდო შემდეგ პირთ: კავკასიის მთავარ-მართებლის თანაშემწეს გენ.-ლეიტ. ა. ა. ფრეზეს თავისი პორტრეტი, შემკული ბრილიანტებით, ყელზე სატარებლად; ტფილისის კომენდანტს გენ.-მაიორს ი. ნ. რეიტერს, ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის უფროსს დ. ს. ს. ლინდენს და გარეშე საქმეთა სამინისტროს მოხელეს ს. ს. კოხანოვსკის—„ლომისა და მზის“ ორდენები 1-ლის ხარისხისა მწვანე ლენტით; ტფ. გუბერნატორს ი. ნ. სვეჩინს—იგივე ორდენი 1-ლის ხარისხისა წითელი ლენტით; ტფ. ვიცე-გუბერნატორს კ. კ. სტეფანოვიჩს და ტფ. პოლიცმეისტერს გ. ს. კოვალიოვს—იგივე ორდენი მე-2 ხარისხისა; მე-44 ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკის პოლკოვნიკს სპარსეთის პრინცს კაზი-მირზას—იგივე ორდენის ნიშნები მე-2 ხარისხისა; კავკასიის მთავარ-მართებლის საგანგებო მინდობილებათა მოხელეს თავ. კურაკინს და საგანგებო მინდობილებათა ოფიცერს კაპიტანს თამამშევს—იმავე ორდენის ნიშნები მე-3 ხარისხისა; მთავარ-მართებლის თანაშემწის ადიუტანტებს აკიმოვსა და თავ. ჩეგოდაევს იგივე ორდენები—პირველს მე-3 ხარისხისა, მეორეს მე-4-სა; ტფ. ფოსტა ტელეგრაფის ოლქის უფროსის თანაშემწეს პ. ი. კოჟინს—ოქროს ბეჭედი ბრილიანტით.

✦ 28 მაისს, დილის 11 საათზე, დანიშნულია საზოგადო კრება **„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წევრთა.** განსახილველად დანიშნულია შემდეგი საგნები: ანგარიში საზოგადოების გამგეობის მოქმედებისა 1899 წლის

განმავლობაში; სარევიზიო კომისიის მოხსენება; სავარაუდო აღრიცხვა შემოსავალ-გასავლისა 1900 წლისთვის და არჩევნები საზოგადოების ახალის წევრებისა. კრება დანიშნულია ტფ. სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში.

✦ საქართველოს საეკკლესიო ისტორიკოსის **მიხ. საბინინის** სულის მოსახსენებლად შუამთის მონასტერში გადახდილ იქმნა პანაშვიდი 15, 16 და 17 მაისს; უკანასკნელ ორ დღეს მწირველი ბრძანდებოდა ყოვლად სამღვდელო კირიონი. გადახდილ იქმნა პანაშვიდი აგრეთვე თეთრი წმ. გიორგის (კახეთში) მონასტერში.

✦ როგორც მკითხველებმა იციან, შარშან ხელმწიფე იმპერატორის ბრძანებით დაარსებულ იქმნა საგანგებო კომისია, რომელსაც მიენდო განსახილველად კითხვა **ციმბირში** გადასახლებისა და **კატორღაში გაგზავნის მოსპობის** შესახებ და ამ სასჯელთა მაგიერ სატუსაღოებში დაპატიმრების შემოღების შესახებ. სატახტო გაზეთების სიტყვით, კომისიას დაუდგენია, რომ ეს რეფორმა დაუყოვნებლივ უნდა იქმნას განხორციელებული.

✦ **გზათა მინისტრის** თავ. ხილკოვს რუსეთის სამხრეთ გუბერნიებში დაუგვიანდა და ამიტომ ტფილისში მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ ჩამოვა.

✦ **ჭიათურაში გაჩენილ სენის** შესახებ შემდეგს ვკითხულობთ „ჩერნომ. ვესტნიკში“: მარტის შუა რიცხვებში ბათუმის საქალაქო საავადმყოფოში მოიყვანეს რამდენიმე ავადმყოფი ჭიათურიდან მოსული. ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევისა და თვალ-ყურის დევნის შემდეგ საავადმყოფოს გამგემ ექიმმა ტრიანტაფილიდესმა განაცხადა, რომ ეს სენი —სახადია (возвратный тифъ) გაძლიერებულ ფილტვების ანთებით. სულ ამ სენით ავადმყოფი მოიყვანეს ბათუმში 18 კაცი, უმრავლესობა მათგანი ჭიათურიდან იყო; მოკვდა მათგან სამი, მორჩა ცხრა, საავადმყოფოში ჯერ-ექვსი. იგივე სენი გავრცელდა ამიერკავკასიის რკინის გზის ზოგიერთ სადგურების მცხოვრებთა შორის.

✦ ჭიათურაში ტფილისიდან გაიგზავნა **კარგები** ავადმყოფ მუშათათვის.

✦ **საქონლის ჭირთან საბრძოლველად** შინაგან საქმეთა სამინისტროს გამოუგზავნია ამიერ კავკასიაში 37 სტუდენტი-ვეტერინარი. სტუტენტებმა 4 თვის განმავლობაში უნდა იმუშაონ ჩვენი ქვეყნის სხვა-და-სხვა ადგილებში ვეტერინართა ხელმძღვანელობით.

✦ წელს, ზაფხულზე, ბაქოში მოელიან **როტშილდთა ერთ ძმათაგანს.** როგორც ამბობენ, ის მოდის ბაქოში დიდის ნავთიან მამულების იჯარით აღებისათვის.

✦ გამოცხადდა უმაღლესი ბრძანება, რომ იმათ, რომელთაც ხვდება მოგება ხუთ პროცენტიან მომგებიან ბილეთებზე 1-ლის (1864) და მე 2 (1866) შინაგან სესხისა და სახელმწიფო საადგილ-მამულო სათავად-აზნაურო ბანკისა—შეუძლიათ მიიღონ თავისი მოგება **ოცდა ათის წლის განმავლობაში.**

✦ ქუთაისის სახაზინო პალატას ებრძანა გადასდოს გუბერნატორის განკარგულებაში კრედიტი 20.212 მან. გუბერნიის **საერობო საპოლიციო სადარაჯოსათვის** სადგომების დასაქირავებლად.

✦ სატახტო გაზეთების სიტყვით, ამ ზაფხულს პეტერბურგში გაიხსნება **ჩრდილოეთ კავკასიის გამოფენა.**

✦ წინა წლის მიხედვით წელსაც ნებას მისცემენ **სასულიერო სემინარიების მოწაფეთ,** რომელთაც კურსი შეასრულეს პირველ რიგში, დაიჭირონ დამატებითი ეგზამენები და შევიდნენ პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთ ფაკულტეტზე.

✦ გზათა მინისტრისა და ფინანსთა მინისტრის ბრძანებით, მაისის უკანასკნელ რიცხვებში მოხდება **შეერთება ამიერ კავკასიის რკინის გზებისა შიდა რუსეთის რკინის გზებთან** ბალაჯარი-პეტროვსკის რკინის გზის შტოს შემწეობით.

✦ რკინის გზების **მსახურთა სადგომების გასაუმჯობესებლად** გადადებულ იქმნა 1,250,00 მანეთი.

✦ ვლადიკავკავის რკინის გზას ნება მიეცა დაიწყოს **რკინის გზის კეთება** ეკატერინოდარიდან ტუაპსემდე. ეს გზა შემდეგ გაივლის შავი ზღვის ნაპირას და შეუერთდება ამიერ კავკასიის რკინის გზას.

✦ **ბაქოსა და ბათუმის საპატიმროებში** ტუსაღთა გაგზავნა ტფილისიდან შეწყვეტილ იქმნა, რადგანაც ხსენებულ საპატიმროებში ადგილი აღარ არის.

✦ ტფილისში არსდება ინჟ. იარალოვის **მეხანიკურ ქარხნის აქციონერთა საზოგადოება.** საზოგადოებას აზრად აქვს შეიძინოს და გააფართოვოს იარალოვის მეხანიკური ქარხანა და აგრეთვე გახსნას სამეურნეო იარაღებისა და მაშინების საკეთებელი ქარხანა. ძირითადი თანხა საზოგადოებისა აღნიშნულია 350.000 მან., დაყოფილი 1400 აქციათ, თითო 250 მანეთი.

✦ **ბათუმის საქალაქო საავადმყოფოს** ასაგებად გადადებული ფული, 100 ათასი მან., არ ეყო ქალაქის თვითმმართველობას და ამ ჟამად უკანასკნელი შუამდგომლობს სათანადო მთავრობის წინაშე, რომ მიეცეს მას ბათუმში შემოტანილ საქონელზე დადებული გარდასახადიდან 94.102 მანეთი, რომელიც საჭიროა კიდეც ხსენებულ საგნისთვის.

✦ სიღნაღის მაზრიდან გვწერენ, რომ იქ უკანასკნელ ორ კვირეში სულ **წვიმა მოდის.** სოფ. კარდანახი ნახევრად დასეტყვა. მოსავალს ჯერ-ჯერობით კარგი პირი უჩანს მაზრაში.

✦ როგორც გვატყობინებენ, სამტრედიაში 17 მაისს მოხდა **მკვლელობა.** ხონის მცხოვრებმა ევსო სანაძემ ხანჯლით მოჰკლა ლაილაშის მცხოვრები დ. კაჭკაჭიშვილი. სანაძეს რაღაცა ჩხუბი მოსვლია მედუქნე მაჭარაძესთან, რომელსაც სანაძესათვის უცემია. სანაძე შუაღამისას მისულა იმავე დუქანში და რაკი მაჭარაძე დუქანში არ უნახავს, გასულა უკან ოთახში და რა უნახავს იქ ტახტზე მწოლარე—მაჭარაძე ჰგონებია და ხანჯალი ჩაუცია. შემდეგ გამოაშკარავებულა, რომ ტახტზე კაჭკაჭიშვილი წოლილა. მკვლელი გაქცეულა.

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**19 მაისი *)**

**ლონდონი.** რობერტსი დეპეშით იტყობინება გერმისტონიდან: „დილას გავგზავნე იოჰანესბურგს შიკრიკები. იოჰანესბურგის უფროსი მოვიდა და მთხოვა—24 საათით გადასდევი ქალაქში შემოსვლაო, რადგანაც იქ კიდევ ბევრი შეიარაღებული ბურიაო. უწესოების ასაცდენად მე თანხმობა გამოვაცხადე. გარდა ამისა, გარშემო მთებზე მტრის ჯარი სდგას კიდევ და ჯერ იმას უნდა განდევნა“.

16 მაისის ბრძოლაში უმთავრესი მონაწილეობა მიიღო გამილტონის ჯარმა, რომელიც იოჰანესბურგიდან დასავლეთით მოქმედობდა და ფრენჩის ცხენოსან რაზმს დახმარებას უჩენდა. ფრენჩის ცხენოსანი რაზმი პრეტორიისაკენ მიდიოდა. გამილტონმა ნახა, რომ გზა ბურებს შეეკრათ ძლიერის პოზიციების დაჭერით. რონდიდან 3 მილის სიშორეზე, სამხრეთით, გამილტონი შეებრძოლა მათ. ბურები საღამომდე გაუმაგრდნენ ინგლისელთ, მაგრამ მერე დაიწიეს უკან. ამ ჟამად გამილტონი იმყოფება ფლორიდაში იოჰანესბურგიდან დასავლეთით, ფრენჩი კი ცოტა უფრო წინ. ცხენოსანი ჯარი, ამხედრებული ქვეითა ჯარი და მეშვიდე დივიზია სდგანან მთებზე ქალაქიდან ჩრდილოეთით; მე-11 დივიზია ზარბაზნებით სდგას სამხრეთით.

რენდლი იტყობინება, რომ 15 მაისს ის თავს დაესხა ბურების მცირე რაზმს სენეკალთან; ინგლისელებს ცოტა ჰყავს მოკლულ-დაჭრილი.

ბრაბანტი იტყობინება, რომ ორ მაისს სადარაჯო რაზმს მტერმა გზა მოუჭრა და ტყვედ წაიყვანა. რაზმები შესდგებოდნენ ოროლ ოფიცრისაგან და 40 ჯარისკაცისაგან.

**გერმისტონი.** რობერტსი ხვალ შევა ჯარებით იოჰანესბურგში. მადნები არ დაუზიანებიათ. ცხრა ორთქლის მატარებელი, მრავალი ვაგონი, დატვირთული ნახშირით და ცარიელი, ხელში ჩაუვარდა ინგლისელთ. ბურებმა დაიწიეს იოჰანესბურგისაკენ. ბურების ჯარის უკანა რაზმებმა წინააღმდეგობა გაუწიეს გერმისტონის ქუჩებზე ინგლისელთ, მაგრამ გრენადერებმა მალე განდევნეს ისინი. რკინის გზის ლიანდაგი გერმისტონიდან მდ. ვაალამდე მტერს არ გაუფუჭებია.

**პეკინი.** მდგომარეობა ეხლა უკეთესია; ჩინეთის ჯარმა დაიჭირა ყველა ის ადგილები, სადაც ამბოხება ასტყდა.

**ლონდონი.** რობერტსი დეპეშით იტყობინება იოჰანესბურგიდან 18 მაისს: ინგლისის ჯარი შევიდა იოჰანესბურგში; ინგლისის დროშა აფრიალებულ იქმნა მთავრობის დაწესებულებათა სადგომებზე“.

**ლონდონი.** იტყობინებიან, რომ კრიუგერი დატყვევებულ იქმნა პრეტორიიდან ექვსი მილის სიშორეზე.

**კაპშტადტი.** რობერტსი გამოსცემს პროკლამაციას და გამოაცხადებს პირობებს, რომლით ბურებს შეუძლიათ დანებდნენ ინგლისელთ. ყველა მეომართ და არამეომარ ბურებს ნება მიეცემათ თავისუფლად და უშიშრად და-

*) დაგვიანებულია.

ბრუნდნენ თავთავიანთ სახლებში და მამულებში, იმათ გარდა, ვინც მონაწილეობა მიიღო ომის გამოწვევაში, ვინც უფროსობდა ჯარებს და ვინც დამნაშავეა ძარცვა-გლეჯაში და ყოველ ამ გვარ მოქმედებაში, რომელიც წინაღმდეგია განათლებულ ერთა შორის ომიანობის წესიერებისა. გარდა ამისა დაბრუნებულებმა უნდა გადასცენ ინგლისელთ იარაღი და ფიცის ქვეშ პირობა უნდა დასდონ, რომ აღარ მიიღებენ მონაწილეობას ომში.

**სოფია.** ბულგარიის მთავრის სახელწოდების დღეს გადახდილ იქმნა წირვა და პარაკლისი და შემდეგ მოხდა ჯარების პარადი. ირწმუნებიან, რომ მთელს ბულგარიაში მშვიდობიანობა ჰსუფევსო.

**19 მაისი.**

**ლორენცო-მარკეზე** კრიუგერი მიდელბურგში იმყოფება, სადაც გადავიდა მთავრობა.

კაალენონესთან, პრეტორიას და იოჰანესბურგის შუა გზაზე, ოთხშაბათს მოხდა ბრძოლა.

**იოჰანესბურგი.** რკინის გზის მმართველობა აცხადებს, რომ აღდგენილია რკინის გზით მიმოსვლა. საქონელი გასაგზავნად ყველა სადგურზე მიიღება.

**ტიანცზინი.** ინგლისის, ამერიკელთა, იტალიის, იაპონის, ფრანგების და რუსეთის ჯარი, რიცხვით 334 ჯარის კაცი და 22 ოფიცერი, გაგზავნილ იქმნა რკინის გზით პეკინში.

**ტიანშინი.** ცზუნგ-ლი-იამენი დასთანხმა, რომ გაგზავნილ იქმნას ჩინეთში უცხოელთა ჯარები მისიათა დასაცველად. მშვიდობიანობა სუფევს.

**კონსტანტინეპოლი.** გუშინდელ დღიდან პორტას განკარგულებით სერბიისა ბ რუმინიის ტამოჟნებზე დაწესებულია სატამოჟნო დიფერენციალური ტარიფი, თუმცა ამაზედ მას არაფერი შეუტყობინებია დასახელებულ სახელმწიფოებისათვის. რუმინიის ელჩი პორტას შეეკითხა ამის შესახებ; ამასვე იზამს ახლო მომავალში სერბიის ელჩიც.

**კაპშტადტი.** დუგლასში რამდენიმე მეამბოხე თავს დაეცა ინგლისის მცირე რაზმს. მოკლულია 16 ჯარის კაცი, მათ შორის ჯარის უფროსი პოლკოვნიკი.

**ხარკოვი.** ოსტროჟსკის მაზრის ერობის უფროსის მოკვლის საქმე გაირჩა და პალატამ ბრალდებული, გლეხი ბულმანსოვი, გაამართლა.

**მოსკოვი.** მოსკოვისკენ მიმავალ მსწრაფლ მატარებელ № 1-ში, სადგურებ გოროხოვეცისა და ვიაზნიკის შუა, ნიჟეგოროდის გზაზე მოკვლის განზრახვით თავს დაეცნენ ინჟენერს ლიბერტს. ბოროტგამზრახველთ ლიბერტი დასჭრეს სამ ალაგას თავში და გაძარცვეს. დაჭრილი ჯერაც გონს ვერ მოსულა.

**პეტერბურგის ბირჟა 19 მაისს.**

| | მყიდველთაო. | გამყიდველთა | გაყიდულთაო. |
|---|---|---|---|
| | მ ი | ნ ი | თ ი |
| 4% სახელმწიფო რენტა. . . . | — | — | 98½ |
| 4½% შინაგანი სესხი 1893 წ. | — | 100¾ | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ.-მამ. ბანკისა. . | — | 98⅞ | — |
| 5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.. | 308 | — | — |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.. | — | — | 266 |
| 5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა . . . . . | — | — | 208¾ |
| 3½% გირავ. ფურ. იმავე ბანკისი. . | — | — | 91⅛ |
| ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურცლ.. | — | 98 | — |
| 4½% გირავნობ. ფურცლ. იმავე ბანკისა . . . . | — | 90 | — |
| ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის 6% გირ. ფურცლ. . . . | — | 102 | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა... | — | 99 | — |
| 5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ. . . | — | 98 | — |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა .. . . | — | 90 | — |

დრ. რედ. **ალ. ჭყონია**

# გამოსადეგი ცნობანი

**ნიხრი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ხორცი ძროხისა | 1 | გ. | —10 | კ. |
| ს-ქგი . . . . | 1 | » | —15 | კ. |
| » ცხვრისა . | » | » | — 8½ | |
| » კამეჩისა. . | » | » | — 8 | კ. |
| » ღორისა. . | » | » | — 8 | კ. |
| » ღორის ზარგალი სალორუთი . | 1 | » | —10 | კ. |

(ძროხისა და ცხვრის ხორცს იის ფერი ბეჭედი ადევს, კამეჩს—მწვანე, ღორს—დამღა).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პური ფუქნისა | I | ხარ. | 1 | გ. | 5 | კ. |
| » » | II | » | » | » | 3½ | » |
| » » | III | » | » | » | 3 | » |
| იგივე თორნისა | I | » | » | » | 5 | » |
| » » | II | » | » | » | 4 | » |
| » » | III | » | » | » | 3½ | » |
| ლავაში ჯვ. მამ. | I | » | » | » | 6 | » |
| » » | II | » | » | » | 4 | » |

**ტფილისის ბაზრები:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| გაიყიდა მეიდნებზე: კოგზალზე, | | | | |
| ხორბალი სუქ. ფუთი. | მ. | კ. | მ. | კ., |
| | 1 | 1 30 | 1 20 | |
| ხორ. წითელი. . . | 1 | 1 15 | — | |
| ქერი . . . . . . | 1 | — 88 | — 85 | |
| სიმინდი . . . . | 1 | — 70 | — — | |
| ფქვილი სოფლისა. | 1 | 1 20 | — — | |
| » უფრო მდარე. | 1 | 1 10 | — — | |
| კომბოსტო. . . . | 1 | — 60 | — — | |
| კარტოფილი. . . . | 1 | — 60 | — — | |
| ხახვი . . . . . | 1 | — 50 | — — | |
| თივა . . . . . | 1 | — 60 | — — | |
| ბზე. . . . . . . . | 1 | — 28 | — — | |

შუშა რცხილისა 1 სრული საყ. საწყობებში 38 მ., შუშა ნარევი 36 მ. ცხვარი თუშისა 3 მ. 50 კ.-დან 5-მდე, ცხვარი თათრული 3 მ. 8. კაპეიკიდან 4 მ. 60 კ.-მდე, ღორი 8ადგილობრივი ჯიშისა 8.-დამ ი მ. 50 კ.-მდე, ძროხა და ხარი აქაური საკლავი 30 მ.-დან 45 მ.-მდე, ხარი მესამმელი,—კამეჩი—მ. -მდე, კამეჩი საკლავი 26 მ.-დამ 34 მან., მესამმელი— მ.

---

**რუსეთის ბაზრები:**

ფქვილი როსტოვში.

| ხარისხი. | | ხარისხი. |
|---|---|---|
| № 0—9 მ. 25 კ. | | № 4—7 » 25 » |
| № 1—8 » 50 » | | № 5—7 » — » |
| № 2—8 » — » | | № 6—6 » 75 » |
| № 3—7 » 50 » | | № 7—6 » 25 » |

სიმინდი (ნოვოროსსიაში) 1 ფ. 54 კ. 41 კ. ქერი როსტოვში 66 კ. 62 კ.-მდე ნოვოროსსიაში 68 კ. 69 კაპიკამდე.

მოტანა ტფილისამდე 1 ფ. 87 კ.
შაქარი იქვე ფუთი 5 მან. 70 კ.
„ფშხვნილი „ 4 „ 80 „

მატყლი ისპანიური, თეთრი ფ. 10 მ.—11 მ. 85 კ., მატყლი 10% შავ-ნარევი — ადგილობრივი—3 მ. 50 კ.—4 მ. 10 კ., გარეცხილი 8 მ. 37 კ. ისპანიის ჯიშის ცხვრის ტყავი თითო 2 მ. 60 კ.-მდე.

---

**საავადმყოფოები**

**ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო**, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში —12 მ. თვ. ცალკე ოთახში—60 მ. თვ.

**ქალაქის სამკურნალო.** მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ. ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხნოვი.

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი: ავლაბრისა,** კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

**კუკიისა,** ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

**ხარფუხისა,** კორონცოვის ქუჩა, სახლი ივდიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

**თვალების სამკურნალო,** ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

**ქალაქის საავადმყოფო სულით-ავადმყოფთათვის.** [illegible]—იმყოფება გოჯრის ქუჩაზე, ბარონეს ტიზენგაუზენისა და ეჭუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) კორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

---

**მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა.**

**სახალხო მატარებელი № 1** ბაქოდან ტფილისში გამოდის 4 ს. 15 წ. დღ.; ტფილისში მოდის 8 ს. 40 წ. დილ.; ტფილისიდან ბათუმში გადის 9 ს. 10 წ. „დილ. ბათუმში მიდის 8 ს. 32 წ. საღ.

საფოსტო მატარებელი № 3 ბაქოდან ტფილისში გამოდის ღამის 12 ს. 20 წ., ტფილისში მოდი საღამოს 6 ს. 28 წ.; ტფილისიდან ბათუმში გადის საღამ. 7 ს. 32 წუთ., ბათუმში მიდის დილის 8 ს. 12 წ.

**სახალხო მატარებელი № 2** ბათუმიდან ტფილისში გამოდის 9 ს. 15 წუთ. დილ., ტფილისში მოდის საღამოს 8 ს. 35 წ.; ტფილისიდან ბაქოში გადის საღ. 9 ს. 23 წ., ბაქოში მიდის 1 ს. 04 წ. დღის.

**საფოსტო მატარებელი № 4.** ბათუმიდან თბილისში გამოდის 9 ს. 05 წ. საღ., თბილისში მოდის 9. 45 წ. დილით.; თბილისიდან ბაქოში გადის დილის 11 ს. 32 წ., ბაქოში მიდის დილის 6 ს. 15 წ.

მატარებელი № 5 ტფილისიდან ბორჯომში გადის დღისით 3 ს. 25 წ., ბორჯომში მიდის 8 ს. 23 წ. საღ.

მატარებელი № 6 ბორჯომიდან ტფილისში გამოდის 8 ს. 20 წ. დილ., თბილისში მოდის დღისით 12 ს. 55 წ.

სამტრედიიდან ფოთში სამი სახალხო მატარებელი გადის დღეში: პირველი—ღამის 5 ს. 02 წ., მეორე —დღეს 12 ს. 40 წ., მესამე—საღამოს 7 საათ. 30 წ., ფოთში მოდის—პირველი 7 საათ. 12 წ. დილით, მეორე—2 ს. 49 წ. დღ. და მესამე ს 94—ერთ9 წ. საღ.

ფოთიდან მსატრედიაში გადის სამი მატარებელი: პირველი—ღამის 1 ს. 11 წ., მეორე—დილის 6 ს. 20 წ., მესამე—საღ. 9 ს. 48 წ.; სამტრედიაში მიდის პირველი 3 ს. 20 წ. ღამის, მეორე—8 ს. 42 წ.

დილის, მესამე—ღამის 11 ს. 57 წ.

ფოთიდან რიონში გადის დილის 6 ს. 20 წ., რიონში ფოთიდან მიდის დილის 6 ს. 45 წ.

რიონიდგან ქუთაისში გადის შვიდი მატარებელი: ღამის 3 ს. 55 წ., და 5 ს. 30 წ. დღის 1 ს. 30 და 4 ს. 50 წ., საღამოს 6 ს. 30 წ. დილის 8 ს. 45 წ. და 10 საათ.

ქუთაისიდგან რიონში მიდის ღამის 12 ს. 55 წ., და 4 ს. 40 წ. დღისით 12 30 წ., 3 ს. 50 წ., და 5 ს. 30 წ.,

შორაპნიდან ჭიათურაში გადის დღეში ორი სასალხო საქონლის მატარებელი. პირველი გადის დილის დს.ი 50 წ., მეორე 5 ს. 15 წ. 6 ღსით

ჭიათურაში მიდის პირველი—დილის 9 ს. 42 წ. მეორე—საღამოს 8 ს. 07 წ.,

ჭიათურიდგან შორაპანში გადის ორი მატარებელი: პირველი 1 სე 40 წ. დღისა, მეორე—საღამოს 11 ს. 15 წ. შორაპანში მიდის—პირველი დღისით 4 ს. 31 წ. მეორე ღამის—2 ს. 05 წ.

მიხაილოვიდგან სურამში გადის დღეში ოთხი მატარებელი. პირველი ღამის 12 ს. 03 წ., მეორე დილის 6 ს. 25 წ., მესამე,—დღის 1 ს. 5 წ. და მეოთხე საღამოს 7 ს. 18 წ.

სურამში ყველა ეს მატარებლები 12 წ. განმავლობაში მიდიან.

სურამიდგან მიხაილოვში გადის ოთხი მატარებელი. პირველი ღამის 5 ს. 08 წ., მეორე დილის 11 ს. 48 წ., მესამე დღის 4 ს. 40 წ., მეოთხე—საღამოს 10 ს. 50 წ.

მიხაილოვში 12 წ. განმავლობაში მიდიან.

ქუთაისიდგან ტყიბულში გადის ღამის 6 ს. 50 წ. ტყიბულაში ჩადის 10 ს. დილისა.

ტყიბულიდგან ქუთაისში გადის დღისით 1 ს. 30 წ., ქუთაისში მიდის 6 ს. 30 წ. დღისით.

ომნიბუსების მიმოსვლა ტფილისისა და ვლადიკავკასის შორის დაწყებული 1 ნოემბერს 1899 წ. ვიდრე 1 მაისამდის 1900 წ.

თბილისიდან ხუთსაჯდომიანი კარეტა გადის დილის 8 საათზე (მცხეთში ღამის თევით) და ვლადიკავკასში ჩადის საღამოს 7 ს. 30 წ. და ექვს-საჯდომიანი ომნიბუსი გადის ნაშუადღევის 3 საათზე და ვლადიკავკასში ჩადის მეორე დღისაღამოს 5 ს. 35 წ.

ვლადიკავკასიდგან: ხუთ საჯდომიანი კარეტა გამოდის დილის 8 საათზე (ღამის თევით მცხეთში) და ჩამოდის ტფილისში მეორე დღეს საღამოს 6 ს. 40 წ., ექვს-საჯდომიანი ომნიბუსი გამოდის საღამოს 8 საათზე და ტფილისში ჩამოდის მეორე დღეს საღამოს 9 ს. 30 წ.

# განცხადებანი

## ბორჯომში

ქირავდება და ისყიდება მოწყობილი «დაჩა» ი. ა. აბესალომოვისეული და აწ-ქალაქ ტფილისის საკუთრება. სადგომი შესდგება 5 ოთახიდან ქვემო სართულში და 4-დან ზემო სართულში. პირობების გაგება შეიძლება გამგეობის მე-4 განყოფილებაში.

(6. 3—1)

აპრილის 20-ს ამა წლისას, სოლოლაკისა და რტიშჩევის ქუჩების კუთხეში, თავად ბებუთოვების სახლში გაიხსნა

## ქალაქის სააუქციონო დარბაზი.

სააუქციონო დარბაზი მოახდენს საჯარო გასყიდვას ყოველგვარ მოძრავ ქონებისას სახელმწიფო დაწესებულებათა, მოხელეთა, საკრედიტო დაწესებულებათა, გამსესხებელ კასსებისა და კერძო პირთა განცხადებისა თანახმად.

საჯარო გასყიდვა მოხდება სააუქციონო დარბაზში, მაგრამ შეიძლება ქონების პატრონის სახლშიაც მოხდეს იგი ან და მაღაზიებში და დუქნებში, მსურველთა თხოვნის თანახმად.

დაწვრილებითი პირობები ქონების მოტანისა, შენახვისა და გასყიდვის შესახებ დაბეჭდილია «ტფილისის სააუქციონო დარბაზის წესდებაში», რომლის მიღება მსურველს შეუძლიან თვით დარბაზის სადგომში ზემო მოყვანილ ადრესით. 6. 5—4

## ვექილი

ა. მ. ახნაზაროვი

გადავიდა ნიკოლოოზის ქუჩაზე, სახლი № 42.

დილის 8—10 საათ. და საღამ, 6—8 საათამდის. (10—8)

წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის

## გამგეობისაგან.

წერილებით, თუ სიტყვით მრავალჯერ გამოცხადებულის საზოგადოების სურვილის თანხმად ამხანაგობის გამგეობამ მოსახერხებლადა სცნო, რამდენადაც კი შეიძლება, ფასი დააკლოს მის მიერ გამოცემულ წიგნებს.

**წიგნები გაიყიდება შემდეგ ფასად:**

| | მან. კაპ. |
|---|---|
| თხზულებანი ალ. ყაზბეგისა ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი ოთხი ტომი, თითო ტომი ცალკე | 1— » |
| თხზ. ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიით და ფაქსიმილეთი | «—50 |
| დაბადება და აღზრდა კრებული ბატონიშვილისა ლეგენდა-პოემა ბაჩანასი | «—10 |
| ბნელი, მოთხრობა ნ. მელანიასი (პიკვდონიმი) | «—20 |
| თხზულებანი ი. ჭავჭავაძისა, ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი: | |
| I ტომი | «—70 |
| იგივე II ტომი | «—60 |
| იგივე III ტომი | «—60 |
| იგივე IV ტომი (ორ წიგნად) | «—80 |
| სოფლის კუნწულა დ. მაჩხანელისა | «—10 |
| თხზულებანი აკაკისა I ტომი | «—60 |
| იგივე II ტომი | «—60 |
| თხზულებანი რ. ერისთავისა I ტომი | «—60 |
| სიბრძნე-სიცრუვე საბა-ორბელიანისა | «—40 |
| საქართველო და მისი წარსული დრო პოტოსი | «—20 |
| აივენგო ვალტერ სკოტისა | «—50 |
| აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში | «—15 |
| სამზარეულო ქართულის და ევროპიულის საჭმელებისა | 1—20 |
| ღვინის დაყენება პროფესორის გ. პეტრიაშვილისა | 1—50 |
| რძე მისივე | 1—50 |
| სიბრძე ბალავარისა | «—30 |
| ცეცხლითა და მახვილითა | «—80 |
| დასტურ-ლამა | «—10 |

ვინც გაიწერს წიგნებს, ფოსტის ხარჯი დაედება წონის მიხედვით გაგზავნის დროს (наложеннымъ платежомъ) წიგნების ფასი 25% წინადვე უნდა იქმნას გაგზავნილი.

წიგნები ამხანაგობის კიოსკში იყიდება, ქ. ტფილისში, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ ფული უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество.

ქართველთა ამხანაგობის, წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების და კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიებში ისყიდება

## გლეხი-კაცის ისტორია,

ერკმან-შატრიანისა:

**სრული ისტორია საფრანგეთის დიდი რევოლიუციისა**

| | | | |
|---|---|---|---|
| ნაწილი | I | საერო კრება | 60 კ. |
| | | იგივე კარგ ქაღალდზე. | 75 „ |
| ნაწილი | II | სამშობლოს განსაცდელი. | 60 „ |
| | | იგივე კარგ ქაღალდზე | 75 „ |
| ნაწილი | III | წელიწადი პირველი რესპუბლიკისა | 1 მ. 20 „ (III და IV) |
| და ნაწილი | IV | მამულიშვილი ბონაპარტი | |
| | | იგივე კარგ ქაღალდზე | 1 მ. 50 „ |

ბრჭყალები, დრამა 3 მოქმ. პოლ-ერვიესი . . . 30 „

იუდითი, ტრაგედია 5 მოქმ. ჯიაკომეტისა . . . 30 „

პირველი ნაწილი ცალკე აღარ იყიდება

გამომც. გ. გუნია.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 20 Мая, 1900 г.

სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—სა. ვანქის დიდი ქუჩა, № 27.